№ 63. მარტის 24, ქვირა. 1866—1885 მარტის 24, ქვირა. № 63

„დროება“ს რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.
ფელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. «Дроэба»
ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.
ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათის გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კაპ.; პირველზე 16 კაპ. სრული ადგილი ერთ-ერთ და 25 მანათი; პირველი 50 მან. რიცხვი სტრიქონებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვალობაზედ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.
„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и за границы принимаются только въ цент., конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6

შემდეგი ნომერი გაზეთისა გამოვა ხუთშაბას, მარტის 28-ს.

„დროების“ ფასი აპრილის პირველიდამ წლის დამლევამდე 7 მ. და 50 კ; სოფლის მასწავლებელთათვის 5 მან. და 50 კ.

წლით ხელის-მომწერნი ამ წლის ყველა ნომრებს მიიღებენ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ესეც ვითომ მეცნიერებაა!

თბილისი, მარტის 24-ს

რას დაუძახებთ იმისთანა კაცს, რომელსაც თითქმის მთელი თავისი სიცოცხლე უცხო ქვეყანაში გაუტარებია და არ იცის კი, როგორია ეს ქვეყანა, რა ხალხი სცხოვრობს შიგა, რა ენაზედ ლაპარაკობს? რა თვალით შეჰხედავთ მას, თუ იგი დაპატრონებას გიქადით, გამომკვლეველობასა ჩემობს და მეცნიერების სახელის მოხვეჭა სწადიან? ჩვენ არ ვიცით, რა სახელს დაარქმევთ, ან რა თვალით შეხედავთ, მაგრამ ყველა, ვინც კი ჭკუას არ შემოსწყრომია, ორში ერთს უწოდებს მას, ან უგუნურს, ან ბოროტის განზრახვით მომქმედს. ორიე შემთხვევაში ჭკუასთან შემოუმწყრალი პირი იტყვის: შორს ჩემგან ამისთანა მზრუნველი, შორს ჩემგან ამისთანა მეცნიერია!

ესეთი შთაბეჭდილება იქონია ჩვენზე წარსულ შაბათს მომხდარმა «სამეცნიერო» სჯამ ბ-ნი სმირნოვის რეფერატზე. ვინ არის ბ-ნი სმირნოვი და რა სწადდა იმას თავის რეფერატით?

ბ-ნი სმირნოვი ამ რეფერატზე პირველად გავიცანით და მისი შინაგანი ღირსებისა არა ვიცით-რა. ეს კი ვიცით, რომ განათლებულებში უნდა ითელებოდეს და უცხო ენებზე კარგად ლაპარაკობდეს. რაც შეეხება მეორე კითხვას: რა სწადდა დაემტკიცებინა ბ-ნს სმირნოვს თავის რეფერატით, ამაზედ პასუხის მიგება ჩვენთვის შეუძლებელია და ვგონებთ, თითონ ბ-ნი სმირნოვისათვისაც ადვილი არ იყოს.

ბ-ნს სმირნოვს უნდოდა დაემტკიცებინა რომ სომეხთა სხვა-და-სხვა შტოთ შორის სრული ერთობაა, როგორც ენის ისე ისტორიის მხრივ და ამიტომ ეს ხალხი ერთს ტომს (племя) წარმოადგენსო; რაც შეეხებაო ქართველებს, მეგრელებს, ლაზებსა და სვანებს, თუმცა მათი ენები ერთისა და იმავე ფესვისაგან წარმოსდგებიან, მაგრამ თვითონ ამ ხალხთა ერთ-გვარტომობა კი დამტკიცებული არ არისო. როდესაც ამის პასუხად უთხრეს რეფერანტს, რომ სომხეთის ისტორია იმ გვარადვე ამტკიცებს ამ ხალხის ერთ-გვარ-ტომობას, როგორც საქართველოსია და თუ ეს უკანასკნელი საეჭვოდ უნდა იქმნას ცნობილი, პირველიც მაგ ბედს ვერ ასცდებაო, — იმან პასუხად წაიკითხა ორი გვერდი პატკანოვის ისტორიიდამ, რომელიც სრულიადაც არ ამტკიცებდა იმას, რაც თითონ რეფერანტს უნდოდა დაემტკიცებინა.

რეფერანტის უმთავრესი ტეზისი ეს იყო: «ხალხი არის კრება ადამიანთა, რომელნიც რომელსამე ქვეყანაში დგანან და ერთსა-და-იმავე კანონებს ექვემდებარებიან». ეს ტეზისიც ბ. სმირნოვს თავის გონებით არ შეუმუშავებია, იგი ამოღებია ლიტრეს ლექსიკონიდამ, მაგრამ დაიწყებია, რომ ეს განმარტება ეკუთვნის ხალხს, პოლიტიკურის მნიშვნელობით მიღებულს და არა აღნიშნულს ეტნოგრაფიულად. და როდესაც მისმა მოპირდაპირემ ბ. ზაგურსკიმ აუხსნა, რომ ეგ განმარტება არ მიუდგება თუნდ იმ ხალხს, რომელიც თქვენ ტომად დასახეთო, რადგან იგი სცხოვრობს როგორც რუსეთში, ისე ოსმალეთში და სპარსეთშიო, — თავ-გასულობით გაამაყებულმა «სწავლულმა» მიუკო რომ მე აქ ბუნებრივი და ზნეობრივი კანონები მაქვს სახეში და არა პოლიტიკური, თუმცა ერთი საათის შემდეგ ესევე კანონები «სუდებნი უსტავებში» ჩაწერილებად გადანათლა.

ამ გვარად სწარმოობდა ის სჯა, რომელსაც მეცნიერული ერქვა და რომლის დროსაც უმეცრებით წათამამებულს ბ. სმირნოვს თავის თავი მართლა მეცნიერად მიაჩნდა. ბ. სმირნოვი იმენეულობდა ქართველებისა და იმერლების ერთსა და იმავე შთამომავლობასა, რადგან მათ შორის რამოდენიმე განსხვავება არისო (და განა ერთისა-და იმავე შთამომაველობის ხალხნი-კი სწორედ ერთს ყალიბში ჩამ-სხმულნი არიან!) და ამ გვარს «მეცნიერს» მოქიშპენიც გამოუჩნდენ. ჩვენ ეს უკანასკნელი გარემოება უფრო გვაკვირვებს. ბ. სმირნოვს შეეძლო ის ელაპარაკა, რაც სურდა, კაცს, ვინ იცის რა არ მოუვა თავში; მაგრამ დიდი თავის გაყადრება იყო მოპირდაპირეთა მხრივ, რომელნიც ჰკადრულობდენ და ბაასსა სწევდენ იმ გვარ მეცნიერთან, რომელიც სიამოვნებით უარსა-ყოფდა ერთის საათის წინად ნათქვამს, თუკი ეს ამ წუთში მას ხელს მისცემდა. ბამობაასების მაგიერად მოპირდაპირეთ უნდა ეთქვათ: თუ თქვენს თავს დასცინით, დიალ ბატონი ბძანდებით, სწერეთ და იკითხეთ, რამდენიც გიჯობთ რეფერატები, მაგრამ თუ ჩვენს მასხარად აგდებას აპირებთ, თქვენ ამას ვერ მოესწრობით და სჯობს ეხლავე თქვენის მეინახე მეცნიერი რადეთურთ აიბარგოთ და იქ მოჰყვეთ ქადაგებას, სადაც გასაბრიყვებლებს უფრო ბევრს იპოვეთო...

და აი, ესეთი მეცნიერები, რომელნიც მეცნიერების წყაროს შორიდამაც კი არ დასწაფებიან და მთელს თავიანთ სიბრძნეს ლექსიკონებზე ამყარებენ, — ესეთი მეცნიერები ბძანებლობენ ჩვენს სამეცნიერო საზოგადოებაში. ესენი არა თუ თავისუფლად კითხულობენ ფუყე რეფერატებს, — მედიდურადაც კი ექცევიან მოწინააღმდეგენს და ნებას აძლევენ თავიანთ თავს უზდელად დაცინვისას, როცა მოპირდაპირე მათსავით მორგვალებულს და სუფთად ენით გადავარცხნილს ფრაზას ვერ იტყვის, თუნდაც რომ მისი აზრი უცილობელი ჭეშმარიტება იყოს...

წერილი რედაქციისადმი.

თქვენ იძულებული გაუხდიხართ, აჩვენოთ, რომ ა) მეგრული და ქართული ერთი და იგივე ენაა და რომ ბ) არამც თუ მხოლოდ ენა, არამედ ყოველივე ამტკიცებს ამ ორი თემის ერთ-ხალხობას. ძნელი, ფრიად ძნელი შრომა გიტვირთნიათ! ეს საქმე ისე მძიმეა, როგორც დამტკიცება მისი, რომ თეთრი თეთრია და არა შავი. ვხედავ თქვენს გაჭირვებას, ბ. რედაქტორო, და არ შემიძლიან, — არ დაგეხმაროთ და არ გაცნობოთ, რომ, მაგალითებრ,

საალდგომოდ

თ. ნ. მ—ზ—ისას

არ დავიწყებ მოყვრისა არ ოდეს გიზამს ზიანსა.

მ—ზ—ებს

აწ სოფელმან ყარესი ჯირი ჯირსა მოგვისართა,
არ დასჯერდა ბედი ჩვენი მათ პატიჟთა მრავალ-გვართა
კვლავცა მიგვცა შესაპყრობლად ქაჯთა ძნელად საომართა
ბედმან გვიყო უკელა კი, ჩემო, რაცა დაგვემართა.

მ—ზ—ელს ი—სკის

კამსგავსე შვილდი ბედითი უმაწვილთა მოსნადირეთა
დიდსა ვერ მოჰკვლენ, სელად აქვსთ ხოტკა ნადირთა მცირეთა.

ა—ძ—ელს პ—ეს

ზოგთა აქვს სადთო სიახლე დაშვრების ალმაფრენითა,
კვლავ ზოგთა ქვე-უძს ბუნება ეძვსს ბეგლუცს ზედან ფრენითა.

ბ. ბ—ს ა. ნ—ძეს

ძვემძრომდობა, ორპირობა აკუნებს ხორცსა მერმე სულსა.

ბ. მ. შ—ს

წადი ა—ს მიმართე არგე, რა ჩემსა მშობელსა,
მტერთაგან შეიწრებულსა, ოგვლგნით სდევ-ადუპვრობელსა,
გულსა ალხინე ჩემისა მოშორებისა მთმობელსა,
მოძიგონებდი მტირალსა შენ-თვის ტრემლ-მეუშრობელსა.

ვ. მ—ძეს

ომ—გარდასდიდსა მშვენოდეს მე ენიანი კაბანი.

დ. ე—ს

ჭსედავ, ჩემო, ვით გაგვარნა სოფელმან და ყამმან ბრუელმან,
ველარ ბნახე საუკარელი მსიარული მსიარულმან;
ნეტარ რა ჭქმნას უშენობამან გულმან შენგან დალხვრულმან;
გაგიცხადა დამალული გონებამან დაფარულმან.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. ე—ს ნუგეშად

სხვად, ჩემო, ჩემი ამბავი ჩემგან არ მოგწერების,
ენა დაშვრების მოსმენით, არ ვისგან დაიჯერების!
ფატმან წამგვარა გრძნეულთა ღმერთიმცა მას ეტერების,
აწ კვლავ ჭქმნა იგი სოფელმან, რაცა მას შეეფერების.

ს—ნ—ოვს

ვინცა ღა სთქვას ერთი-ორი, უმსგავსო და შორი-შორი,
მაგრა იტყვის ჩემი სჯობსო, უტიფლობს, ვითა ჯორი.

ქვემოთ დასახელებულ საგნებს ეწოდებათ

ტანი (მეგრულად), — ტანი, (ქართულად), — ქუდი — ქუდი, ღართი, ჩოხა — ჩოხა, ახალუხი — ახალუხი, ორტყაფუ — სარტყელი, თათმანი — თათმანი, ჩექმა — ჩექმა, ქოში — ქოში, პაჭიჭი — პაჭიჭი; ნაბადი — ნაბადი, ოყალეში — საყელო, კართე — კალთა, ნაოჭი, ნათი — ნაოჭი, ჯიბე — ჯიბე, ლუბა — უბე, ხეშიქოსალი — ხელსახოცი, ჭილეფი — ჭილობი, ორხოუ — ორხო, ფარდაგი — ფარდაგი, ტახტი — ტახტი, ქეჩა — ქეჩა, ნოხი — ნოხი, ლოგინი — ლოგინი, მურთაქა, მუთაგა — მუთაქა, ბალიში — ბალიში, ლეები — ლეიბი, ზენწარი, ზეწარი — ზეწარი, მაშაია, ფოსტალი — ფოსტალი, კაბა — კაბა, ლეჩაქი — ლეჩაქი.....

უნდა გამეწია. ჩავყოლოდი ქვეით, მაგრამ ერთმა ახალმა აზრმა შემაჩერა: მოდი, ბ. რედაქტორო, ერთი ცალკე ჟურნალი დააარსეთ ამ საგნისათვის: ამისთანა ჟურნალი ხელს მოგცემთ: ა) მისი ავსება ყოველთვის ადვილი იქმნება, რადგან ყველა მეგრული სიტყვები და ფრაზები, მეგრელთა გონებითი ნაწარმოებნი, გამოკვლევები სამეგრელოს შესახებ და სხვ. გამოდგებიან მისთვის, რადგან ყოველნივე ესენი დაამტკიცებენ ჟურნალის დედა-აზრს, ბ) იგი ააცილებს „დროების“ პაწია ფურცლებს ამ აუარებელ მასალას, მასალის შეკრებაზე ნუ შეფიქრდებით: ყოველი მეგრელი თანაგვიგრძნობთ და გულითადი თანამშრომელია თქვენი.

ნოქალაქევი.
მარტის 20-ს.

აზრი ერთის ინგლისელისა მოსალოდნელს ომზედ.

ლონდონის კონსერვატორ.ს კლუბში ერთ ინგლისელს წაუკითხავს ლექცია რუსეთისა და ინგლისის შესახებ, რომელიც გაზეთ „ტაიმსიდამ“ გადმობეჭდილია გაზეთს «ნოვოე ობოზრენიეში». შესანიშნავია განსაკუთრებით ამ ლექციის უკანასკნელი სიტყვები:

„აქამდის, ამბობს ლექტორი, ავღანელები და რუსები ერთმანეთს არ შესტაკებიან, მაგრამ ეხლა კი ისინი ერთმანეთის პირის-პირ სდგანან და ინგლისელები ყოველთვის უნდა მოელოდენ იმ ამბავს, რომ მათ შორის შეტაკება მოხდეს. მაშინ ემირი, რა საკვირველია, ინგლისელებს დახმარებას მოსთხოვს და ინგლისმაც რუსეთს ომი უნდა გამოუცხადოს, თუმცა საეჭვოა, რომ ინგლისს შეეძლოს შუაგულს აზიაში დიდის ჯარის გაგზავნა ეხლა, მგვიპტეში გაჭირვების დროს. მაგრამ ინგლისელებს შეუძლიანთ ვნება მოუტანონ რუსეთს და შეაფერხონ მისი მსვლელობა ინდოეთისკენ, თუ თავს დაესხმიან იმის სუსტს ადგილს — ძავკასიას. მაშინ ბერათის დასაპყრობად ინდოეთისკენ მიმავალი ჯარი რუსეთმაც ძავკასიაში უნდა მოიყვანოს. აქედამ ლექტორს ის დასკვნა გამოჰყავს, რომ შავი ზღვის ნაპირებზედ ჯარების გადმოსხმით რუსეთი ჯარისათვის ინდოეთისკენ წასვლა შეუძლებელი იქნება. ეს არისო მიზეზი, რომ ინგლისს ეხლაც კი არ უნდა ეშინოდეს რუსეთთან ომისაო“.

შინაური ქრონიკა

= მკითხველებს ეხსომებათ, რომ ბორის მაზრის უფროსის თაოსნობით ამ მაზრაში თითქმის ორმოცამდე სოფელმა განაჩენები შეადგინეს სკოლების გახსნის თაობაზე. რადგან მათ ზოგიერთი ფორმები აკლდათ, ამიტომ აქამდის დაუმტკიცებელნი იყვნენ. ეხლა გვატყობინებენ, რომ ამ განაჩენებში თვრამეტი კიდეც დაუმტკიცებია მთავრობას და დანარჩენების დამტკიცებასაც მოელიანო.

= სოხუმიდამ გვწერენ, რომ იქ დიმიტრი მგალობლიშვილის ბაღჩაში ამ დღეებში დაუკრეფიათ მეორედ მოსხმული ვაშლი, რომელიც კარგად ყოფილა თურმე შემოსული (?). მეორე ხესაც სხმია, მაგრამ მნახველებს სულერთიანად გაუკრეფიათ.

= იქიდამვე გვწერენ, რომ ამ თვეში ორჯელ მომხდარა კაცის მკვლელობა: ერთხელ ნემეცს ნემეცი მოუკლავს და მეორედ ადგილობრივ მცხოვრებს ადგილობრივი მცხოვრები. საზოგადოდ ამ ქალაქში თურმე მრავალი უწესობა ჰხდება, სხვათა შორის ქურდობაც, მაგრამ ქურდებს-კი ვერ აჩენენ. ამ დღეებში მაგ. სდომებიათ გაქურდვა ბ. ჩერნიავსკისა (ეს ის ჩერნიავსკია, რომელმაც შარშან ჩაის მცენარე გააშენა სოხუმში და წრეულს ამ ჩაის სასმელადაც ხმარობს), მაგრამ ცდას ამაოდ ჩაუვლია.

= ჩვენ გვაცნობებენ, რომ ბ. ა. მირიანაშვილისაგან შედგენილი მოძრავი ასოები ქართული წერა-კითხვის სწავლისა, ბ. დირექტორს თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლებისას სასარგებლოდ უცვნია და ამ ასოების გამომცემლის ბ. ჩარკვიანისაგან დაუბარებია თავის სახელ-ქვეითო სკოლებში დასარიგებლად.

= წინა-მხრის მინდვრებში ახლად გამოჩენილ ჯეჯილში, ახლავე აუარებელი მინდვრის თაგვი გაჩენილა. ყანას კეთილს არ დააყრის თუ რაიმე არ უწამლესო...

= ამას წინად გამართულ სპექტაკლიდამ ფითოევის თეატრში წინამძღვრიანთ კარის სასარგებლოდ წმინდა შემოსავალი ყოფილა 185 მან. 50 კაპ.

„დროების“ კორესპონდენცია

—

რაჭა, მარტის 11-ს. უეჭველია, ყველა დამეთანხმება, რომ ხვანჭკარის გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა იმისთვის დაარსდა, რომ თავისი მოვალეობა ერთგულად და მტკიცედ აესრულებინა და ამით ხალხისათვის მატერიალურად შემწეობა აღმოეჩინა შეძლების გვარად.

ამ ამხანაგობის წესდება, როგორც ვიცით, დამტკიცდა ფინანსთა მინისტრისაგან 19 იანვარს და დაიწყო მოქმედება ივნისის 1-ს 1876 წელსა. ამ ახალს საქმეს ყველა წოდების ხალხი, მდინარე რიონის გალმა-გამოღმა მცხოვრებნი, სიხარულით და აღტაცებით მიეგებნენ და პირველს წელშივე ბანკს 500 წევრი ჰყავდა, რომელთაგან 10,000 მან. შემოვიდა, ასე რომ ბანკის დახლი სათადარიგო ფულიანად 22,000 მან, მეტი იყო.

მსრეთი წარმატება ამ ამხანაგობისა იყო და არის დამოკიდებული თ. კონსტანტინე ყიფიანზედ, რომელიც თავიდგანვე ერთგულად შეუდგა ამ ბანკის რიგიანად და წესიერად წარმოებას და არაფერს არა ზოგავდა, ოღონდ-კი საქმე რიგიანად წასულიყო. მაგრამ საუბედუროდ ამ ბანკს მოწინააღმდეგენი ამოუჩნდენ, რომელთაც საწუალუკიძო სოფლებიდამ შემოსული 200 წევრი მოაშორეს ბანკს და ს. ბუგეულში ახალი ამხანაგობის დაარსების წესდება დაამტკიცებინეს 28 თებერვალს 1881 წელს; მაგრამ როგორც სჩანს კომიტეტის 1884 წლის მეცხრე ანგარიშიდამ, ამ ამხანაგობას დღევანდლამდის არ დაუწყვია მოქმედება.

თუმცა ხვანჭკარის ამხანაგობას ხელის შემშლელი ბევრი ჰყავდა, მაგრამ იგი მაინც დღევანდლამდის კარგად აწარმოებს საქმეს იმისთანა გულის შემატკივართა წყალობით, როგორნიც არიან თ. კოსტანტინე ყიფიანი, მღ. მეგრემ შარაშიძე და თ. ალექსანდრე ბელოვანი.

ამ ამხანაგობის მოქმედებას მკითხველები დაინახავენ გაზეთს „დროებაში“ დაბეჭდილის ანგარიშიდამ.

ამ წლის გაზეთ „ძავკასის“ ერთს ნომერში წავიკითხეთ კორესპონდენცია, რომელშიაც კორესპონდენტი ხვანჭკარის ამხანაგობის მოქმედებას აქებდა, მაგრამ იქვე წავიკითხეთ, რომ ვითომც ბუგეულის ამხანაგობის საქმე ხვანჭკარის ამხანაგობაზედ კარგად მიდიოდეს, — ეს სიცრუეა. ერთი დღეც არ გადის, რომ ბუგეულის ამხანაგობაზედ ხალხში საჩივარი არ ისმოდეს: „ამ დალოცვილებმა ფულები შეგვატყინეს და აღარც ფული გვასესხეს და აღარც ჩვენს ფულებს გვიბრუნებენო“. ბუგეულის ამხანაგობამ ვერაფრად შეასრულა მის შესახებ წარმოთქმული სიტყვები: „სისწორით აღსრულება დამტკიცებულის წესდებისა არის უსაჭიროესი პირობა ამხანაგობის წარმატებისა“.

გაღმელი.

სილნაღი, მარტის 20-ს. სიონაღის ქუჩების სისუფთავეზე — ნა... ქართველ ყოფილა «დროებაში» დაბეჭდილი, მაგრამ რადგან ეხლა ყველა კუთხიდამ მოისმის შიშის ზარი იმ სენისა, რომელმაც შარშან ზაფხულს საფრანგეთს შესაფერი ხარკი გადაახდევინა და ყველანი ცდილობენ ამ სტუმრის აცილებას, ურიგო არ იქნება ჩვენი სილნაღიც ჯეროვნად მოემზადოს მის დასახვედრად.

აქამდის კიდევ ცუდი ტროსები იდგა და მთელი ქალაქის ქუჩები ტალახით იყო სავსე, უსუფთაობა, აგრე რიგად არა ჩანდა, მაგრამ ეხლა კი ტალახის მაგივრად ქუჩები და ეზოები შემკულნი არიან ყოველ-გვარი უსუფთაობით. მართალია ბაზრის ქუჩები კვირაში ორჯელ მაინც დაიგვება ხოლმე, მაგრამ: «ცალი ლოყის დაბანით, მთელი პირის-სახე არ დაიბანებაო» ნათქვამია...

თითქმის გაზაფხულდა; ხალხი ჩვეულებასამებრ სალამ-სალამობით იწყობს სიარულს ციხის გზა-ტკეცილზე და, რასაკვირველია, მშვენიერი სუნელოვანებითაც დასტკბება... მართლაც, უარესად გაჭუჭყიანებული ქუჩა არ შეიძლება ადამიანმა წარმოიდგინოს, როგორც ეს ქუჩაა, თუმცა სხვებიც ბევრად არ ჩამოუვარდებიან.

×

ჩვენი პ—იის ბოქაული მარჯვედ ვერ იქცევა: ამ თვის 14-ს აქ გატეხეს ქართველების ეკლესია. მეორე დილით ცისკარზე მოსულ მლვდელს ენახა თუ არა გატეხილი ეკლესიის კარები, მაშინათვე შეეტყობინებინა ბ. ბოქაულისთვის; იგი ამ დროს მოსვენებაში ბძანდებოდა თურმე. მეორე კაცი რომ გაგზავნა მლვდელმა, ჩაის გიახლებოდათ... ასე რომ იგი მხოლოდ მაშინ მობძანდა, როცა თვით მაზრის უფროსის თანაშემწე და გამომძიებელი მოვიდენ (თერთმეტ საათზე). ყველაფერი გასინჯეს და ასწერეს დაკარგული ნივთები (სულ 120 მან. შესდგა)... მეჭვი მიიტანეს ვილაც თბილისელ კინტოზე, რომელიც იმ ღამეს გასულიყო სილნაღიდამ, „ჩაფარიც“ გამოუყენეს, მაგრამ ქურდმა თავს უშველია... ძალაქს ერთად ერთი ეკლესია აქვს და ერთი ყარაული ვერ დაუჭერიათ.

×

ამას წინად კეთილშობილთ კლუბში მომავალ «დეპოს» წევრებს ჰქონდათ კრება. ბადასინჯეს ხელ-მეორედ წესდება და გადასწყვიტეს საწევრო შესატანი მაისის გასვლამდე უეჭველად შეიტანონ, რომ თიბათვეში „დეპომ“ დაიწყოს მოქმედება. საწევრო ფულების შესანახად დროებდის ამოირჩიეს ბ. ს. ბეგიევი.

აქაც დაკეტა პოლიციამ სომხის სამრევლო სკოლა...

ი. კასელი.

ტელეგრამები

,,ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡᲘ''.

მარტის 20-ს.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. დღეს იმპერატორმა და პრუსიის პრინცებმა პირადად მიულოცეს თავადს ბისმარკს დაბადების დღე და უბოძეს მას სურათი იმპერატორის ვილჰელმის დაგვირგვინებისა ვერსალში.

ᲙᲝᲞᲔᲜᲰᲐᲒᲔᲜᲘ. რადგანაც ბიუჯეტის შესახებ მთავრობის პარტიისა და მოწინააღმდეგეთ შორის უთანხმოება მოხდა, კოროლმა დახურა რიკსდაგის სესია; ბიუჯეტი შეუმუშავებელი დარჩა და კოროლმა გამოაცხადა დროებით ხარჯის გაწერა.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. თონკინში გაიგზავნნენ ბრიგადის გენერლები ქამე და მიუნიკ.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. საზოგადოებათა პალატის სხდომები მარტის 23-დის გადიდვნენ.

ᲠᲝᲛᲘ. გამოაჩინეს საიდუმლო სტამბა და დაიჭირეს საყოველთაო რესპუბლიკის კავშირის იმ გვარივე პროკლამაციები, როგორნიც გავრცელებულნი იყვნენ მთელი იტალიის ჯარებში; დაატესადეს ერთი წინამძღოლთაგანი ალბანიელ რესპუბლიკელთა.

მარტის 21-ს.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. ალიკრძალა ათი და ხუთ-გროშიანი დაბალი ხარისხის პოლშური მანათების მიღება იმ რკინის გზის კასებში, რომელნიც პრივისლიანის გუბერნიების გარეთ იმყოფებიან.

რუსეთის რკინის გზების უმთავრესმა საზოგადოებამ ერთის წლობით, გამოსაცდელად, დაამტკიცა წესები ადგილების ნაკლებ ფასად წაუვანისა ნიკოლაევის და პეტერბურგო — ვარშავის რკინის გზებზედ: გენერლები და ადმირალები მეორე კლასის ბილეთით პირველი კლასით წავლენ; დანარჩენი ადგილები მესამე კლასის ბილეთით მეორე კლასით წავლენ. სათავდარიგო ადგილებს ეს წესები არ შეეხება.

ᲗᲐᲠᲐ. დალმაციის მთავარ-მმართებლისაგან გამართულს სადილზედ ჩერნოგორიიდამ დაბრუნებული ჭერკოგი იოანეს პატივისსაცემლად, ჭერკოგმა დალია სადღეგრძელო იარაღით მოძმეთა, ავსტრიისა და ჩერნოგორიის ჯარებისა; სადილზედ მყოფმა ჩერნოგორიის ვოევოდამ ვუკოტიჩმა გასცა პასუხი ავსტრიის იმპერატორის და მისი სახლობის სადღეგრძელოს დალევით.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. ფერიმ მიიღო ლანგსონთან ომის შემდეგ გაგზავნილი ტელეგრამის პასუხი, რომლითაც აუწყებენ, რომ ჩინეთი დებულობს საფრანგეთისაგან წარდგენილს პირობებს მორიგების შესახებ; მხოლოდ იმ ვადაზეა ლაპარაკი, რომლის განმავლობაშიაც ჩინელებმა ტონკინი უნდა დასცალონ.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. მომეტებული გაზეთები უარს-ჰყოფენ იმ ამბავს, ვითომც ჩინეთი თანხმდებოდეს საფრანგეთისაგან წარდგენილს მორიგების პირობებზედ; ზოგიერთა გაზეთები ჰფიქრობენ, რომ ეს ხმა განგებ დაჰყარეს იმისთვის, რომ უფრო გაძნელდეს ახალი სამინისტროს შედგენაო.

ᲮᲐᲜᲝᲘ. ლანგსონიდამ უკან დაწეული საფრანგეთის ჯარები ჩუსლაბში მშვიდობიანად მოვიდენ, თუმცა მტრის ჯარი უკან მოსდევდა; კეპეს ბანაკი კარგად არის გამაგრებული; ადმირალმა კურბემ დაიჭირა ფსეკატარის კუნძულები.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. გუშინ ,,რეფორმა იუნიონის'' კრებაზედ ლორდმა როსბერმა სთქვა: ინგლისი ცდილობს შეასრულოს თავის მოვალეობა ავღანისტანის ემირის წინაშე რუსეთთან მორიგებით, რომ შემდეგში ადარავითარი უთანხმოება არ მოხდესო და ეხლანდელის მოლაპარაკებით მოისპობა უთანხმოება ავღანის სამზღვრების შესახებ.

რუსეთის ელჩმა დღეს ჩააბარა გრანვილს რუსეთის პასუხი უგანასკნელის ნოტის შესახებ.

,,Pall-Mall - qazet-ი'' ამბობს, რომ რუსეთის პასუხი ძალიან დამამშვიდებელიაო.

მარტის 22-ს.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. იმის შესახებ რომ ვითომც ჩინეთს საფრანგეთისათვის წინადადება მიეცეს მშვიდობის ჩამოგდების თაობაზედ, სხვა-და-სხვა ხმები ისმის. ეს ხმები ბევრს არ სჯერა; გუშინ პალატაში მათ საბირკო მანევრი უწოდეს; გაზეთი ,,Paris'',— ფერის ორგანო, კი დარწმუნებით ამბობს, რომ ზემოდ მოყვანილი წინადადება ჩინეთისა საფრანგეთისადმი ნამდვილად მიღებულიაო. აგრეთვე ამბობენ, ფერის უთხოვნია გრევისათვის, რომ მას ჩინეთისაგან წარმოდგენილ პირობაზე ხელის მოწერის ნება მიეცეს; მაგრამ გრევის განეცხადებია, რომ ეს საქმე ფერიმ თავის მემკვიდრეს უნდა მიანდოსო. ამბობენ, რომ ახალი სამინისტრო უკვე შემდგარა ფერეისინეს მოთავეობით, რომელსაც გარეშე საქმეთა მინისტრის პორტფელიც მიუღია.

ᲠᲐᲞᲐᲚ.ᲞᲘᲜᲓᲘ. აპრილის 1-ს და 2-ს ავღანის ემირს მოლაპარაკება ჰქონდა ინდოეთის ვიცე-კოროლთან. აქ მოგრძოვილი ინგლის-ინდოეთის ჯარები იქამდინ არ დაიძვრიან, მინამ ლონდონიდამ განკარგულებას არ მიიღებენ.

მარტის 23-ს.

ᲡᲝᲤᲘᲐ. სამინისტრო კრიზისი, გამოწვეული შინაგან საქმეთა მინისტრისაგან გაზეთების საშუალებით რჩევის თავს-მჯდომარის გაკიცხვის გამო,— თავიდამ აიცილეს შინაგან საქმეთა მინისტრის დათხოვნით.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. ფრეისინემ უარი განაცხადა ახალი კაბინეთის შედგენაზედ. განზრახვა აქვთ ტონკინის ჯარების უფროსობა გენერალს ბულანჟეს ჩააბარონ, რომელიც მალე წავა დანიშნულს ადგილას.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. გუშინ სალამოზედ შესდგა მრავალვ ხალხის მიტინგი. რომელთა შორის მონაწილეობას იღებდენ ლიბერალური და რადიკალური დეპუტატები. მიტინგი ჰკიცხავს სუდანში ინგლისელების შესევას, თხოულობს, რომ მთავრობამ იქიდამ ჯარები გამოიყვანოს და იწვევს რადიკალებს და ლიბერალებს, რომ მათ უარი განაცხადონ საზოგადოებათა პალატაში ფულის მიცემაზედ სუდანში ომიანობის გასაგრძობად.

ᲡᲐᲜᲝᲑᲐᲜᲘ

სამკურნალოში, რომელიც თბილისს მოქალაქეთ დარსეს სასოგრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავად-მყოფნი მიიღებიან დილის 8 საათიდამ 12 საათამდინ.

უოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ქმნები: ტერ-გრიგორიანცი—8 საათიდამ 9 საათამდინ. საბებიო, საქალებო და საბავშო ავადმყოფობის საწამლელად; ადამიანცი—9-დამ 10-საათამდე შინაგან და ნერვულ ავადმყოფობათა საწამლელად; ბენკლევსკი—10—11 საათამდე.— საირურგო, საფიფილისო ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე გბილისა და ყურის ტკივილის საწამლელად; შტემბორსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა გარალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობის წამლობისათვის; კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9—10 საათამდე ხირურგიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლელად; კრასნოგლიადოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლფსონი გბილის ტკივილის საწამლელად მიიღებს თუეის სასლში ოოველთვის დარბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექმნებათ.

ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ Ბ-ᲜᲘ ᲕᲔᲠᲛᲘᲨᲔᲕᲘ ამით აცხადებს, რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შეღავათისათვის ღამლამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲘ:

ᲐᲠᲣᲗᲘᲜᲘᲐᲜᲘ, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

ᲙᲝᲠᲝᲜᲐ, სამშაბათობით და შაბათობით.

ᲛᲔᲚᲘᲥ-ᲤᲐᲠᲐᲡᲐᲓᲐᲜᲝᲕᲘ, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ᲑᲔᲑᲘᲔᲑᲘ:

ᲤᲘᲚᲩᲐᲙᲝᲕᲘᲡᲐ, სამშაბათობით.

ᲑᲐᲑᲘᲜᲝᲕᲘᲡᲐ, ორშაბათობით, და პარასკევობით.

ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲝᲕᲘᲡᲐ, ოთხშაბათობით და შაბათობით.

ᲚᲝᲩᲨᲘᲡᲐ. ხუთშაბათობით და კვირაობით.

ᲛᲐᲖᲐᲜᲓᲐ

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 მარტიდამ 1 აპრილამდე 1885 წ.

გამომცხვარი შური რუსეთის ფქვილისა—	—1	ფიფ.	5 Გ.
აქაურის ფქვილისა: პირველის სარისხისა—	—1	Გ.	2½
მეორისა— —	—1	Გ.	2 Გ.
იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:			
პირველი სარისხის	—1	Გ.	4½
მეორისა— —	—1	Გ.	3 Გ.
მესამისა— —	—1	Გ.	2½
ᲯᲕᲐᲠᲘᲡ-ᲛᲐᲛᲘ ᲨᲣᲠᲘ:			
პირველი სარის. ლაკაში	1	Გ.	4½
მეორის სარის. ლაკაში	1	Გ.	3½
ᲫᲕᲡᲐᲛᲘᲡᲘᲡ — —	—1	Გ.	3 Გ.
ᲫᲠᲝᲮᲘᲡ ᲮᲝᲠᲪᲘ:			
პირველის სარისხისა	—1	Გ.	8 Გ.
მეორისა — —	—1	Გ.	7 Გ.
სუკი . . .	—1	Გ.	15 Გ.
ცხვრის ხორცი	—1	Გ.	9 Გ.
ᲦᲝᲠᲘᲡ ᲮᲝᲠᲪᲘ:			
პირველის სარისხისა	—1	Გ.	
მეორისა — —	—1	Გ.	

ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲐ

თბილისიდამ ბათუმისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით

თბილისიდამ მარტო საშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით და შაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. დამ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.

ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდამ ᲦᲐ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.

მარტო საშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაქოდან მომავალი შემოდის
თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(სამშაბათობით და პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

განცხადებანი

ინგლისური რკინის კრაპტები.



ერთის საწოლი 6 მანეთიდგან და ორის საწოლი 10 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 4-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-ით უფრო იაფად, კიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, კოვზები, შეფილდის დანები ჩანგლებით, სამართლებლები, დასადგმელი პირის საბანი, სტაქნები, სუფოკნიკი, საწყაო, სკები, რიუმკები, საქაშური თუბშები, ბლიუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძეკეები, სამარილეები, გარჩიტის საფსეკები, პრობკის ამოსაღები, პრობკები, კლიტეები, გასაღებები, კრანტები, ადვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბადო მაკრატლები, კაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, ინგლისის თოფები და რეკოლვერები, ბიუები, ზარიადები, კაპსიულები, საფანგები, ნიჩბები, კატრაშრეფი, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, საღეტკები, რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, ბიგულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიტიკონები, ბომაზეი და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში არწრუნისეულს ქარვასლაში №№ 95, 94, 93, 91, და 90, 89, 88, 87, 86, და 85, უდიდესი ჩაის მაღაზია თბილისში. (100—9)

რადგან ზოგიერთა პირთ გამოაცხადეს სურვილი წინ-და-წინვე ხელის-მოწერისა

სურათებიან ვეფხის-ტყაოსანზე,

ამისათვის შეეამზადებინე კვიტანციები და მსურველთ შეუძლიანთ ეხლავე შემოიტანონ ფული ან სრულიად, ან ნაწილ-ნაწილ, „დროების“ რედაქციაში. ფასი სურათებიანი ვეფხის-ტყაოსნისა, იქნება რვა მანათი დამ ათ მანათამდე, ხარჯის კვალობაზე. ხელის-მომწერი ფულის შემოტანისათანავე მიიღებს კვიტანციას, თუ იგი თბილისშია და შემდეგი ფულის შემოტანის დროს ან ეს, კვიტანციავე უნდა წარმოადგინოს, ან შეატყობინოს მისი №-რი. თბილისის გარეშე ხელის მომწერთა ფული უნდა გამოგზავნონ რედაქციის ადრესით და კვიტანცია მოთხოვნამდე რედაქციაშივე შეინახება.

სურათებიანი «ვეფხის-ტყაოსნის» გამომცემელი
გ. ქართველიშვილი.
(25—5)

სათეატრო განცხადება

ამ წლის მარტის 31-იდამ, მაისის 1-ლამდის და ამავე წლის ოქტომბრის პირველიდამ 1886 წლის აღებამდის ქართული დრამატიული დასი დაიწყებს წარმოდგენების გამართვას. ამის გამო დასის გამგეობა მოიწვევს, როგორც ძველს არტისტებს აგრეთვე დასში ახლად შემოსვლის მსურველთა,— წარუდგინონ თავიანთი პირობანი დასის საქმეთა გამგეს.

საქმეთა გამგე ვ. აბაშიძე.
(6—5)

მოსავალ დღესასწაულებისთვის

ისყიდება ნამდვილი ქახეთის ღვინოები თ. ჭავჭავაძისა, ჩოლაყაევისა და სხვა მემამულეთა ვენახებისა. ბოთლი 15 კაპ., 1 მან., ვედრო 2 მან. 20 კაპეიკიდან—10 მანეთამდინ.

პადვალში ფილიამინოვის ქუჩაზედ ლეჩენიკის ქვეშ.
(2—2) ს. ი. გურდღელოვი.

ეძებენ

თბილისის ძახლობლად
ძაძუნ ს სასოვლოდ. ადგილ
სი: ბუბის, ალექსანდროვის
ქუჩა, № 1, ქვედა სართულ-
ი. (3—3)

ქუთაისში,

ივანე ნიკოლაძის მეძკვიდრეთა მაღაზიაში ისყიდება ყოველ გვარი საქონელი, სხვებთან შედარებით იაფად. მაღაზია იმყოფება ბულვარის პირ-და-პირ საკუთარ შენობაში.
(14—3)

ეძებ ქოგო

ს. სიუ და ძო.

(Ц. 2592). (46—7)

ჟურჟელი! ჟურჟელი! ჟურჟელი!!!

ძალიან ბევრია ინგლისის მაღაზიაში. იქვე ისყიდება ძალიან იაფად ერთი ნაპერი მიწა მტკვრის პირზედ.
(10—2)

ქ. გორში

ივ. ბარამოვის მაღაზიაში იყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნები.
(3—1)

ანგარიში.

რაჭის მაზრის სასწავლის გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობისა 1884 წლისა.

1 იანვრისთვის 1884 წლისა იყო:

შემოსავალი:	მან.	კაპ.	გასავალი:	მან.	კაპ.
წილადი ფული. . .	6,622	32	გასესხებული. . . .	8,171	8
სასარგებლოთ შემოტანილი	240	„	ნაღდი ფული . . .	438	24
სათადარიგო თანხა . .	640	26			
წმინდა მოგება . . .	1,106	74			
ჯამი.	8,609	32	ჯამი.	8,609	32

1884 წელსა.

შემოსავალი:	მან.	კაპ.	გასავალი:	მან.	კაპ.
წილადი ფული. . .	212	37	წილადი ფული . . .	408	51
სარგებელი დაჭერილი გასესხების ანუ ახალი მიცემის ვადის დროს.	931	38	მოგება წილადზე მიცემული	712	76
ჯარიმა	144	95	გასესხებული. . . .	13,578	„
დაბრუნებული სესხები.	14,113	92	სარგებელი დაბრუნებული ვადაზე წინ გარდახდილი სესხისა. .	10	50
სასარგებლოთ შემოტანილი.	240	„	სასარგებლოდ შემოტანილი	240	„
სათადარიგო თანხა . .	110	67	სარგებელი სასარგებლოდ შემოტანილისა . .	21	60
			სასამართლოს ხარჯი .	102	20
			სხვა-და-სხვა გასავალი .	10	„
			აღებ-მიცემისა . . .	316	73
ჯამი.	15,753	29	ჯამი.	15,400	30

1 იანვარს 1885 წელს არის:

	მან.	კაპ.		მან.	კაპ.
წილადი ფული. . .	6,426	18	გასესხებული. . . .	7,635	16
სასარგებლოდ შემოტანილი	240	„	ნაღდი ფული. . . .	791	13
სათადარიგო თანხა. .	750	93			
წმინდა მოგება . . .	1,009	28			
ჯამი.	8,426	39	ჯამი.	8,426	39

თ. გ. ყიფიანი.
გამგებელნი: ბესარიონ ბაქრაძე.
მამუჩარ ყიფიანი.

ასალი მცირე მუდმივ-მოძქმედი ავეჯი იაფად მიიღო

ოქროს მედალი 1878 წლის გამოფენაზედ

მუდმივ-მოძქმედი ავეჯები

შუშხუნა სასმელების გასაკეთებლად:

ზელცერის წყალისა, ლიმონადისა, სოდისა, შუშხუნა ღვინოებისა, ლუდისა.

სიფონები დიდებიც არის და პატარებიც; ადვილი გასაწმენდია

J. HERMANN — LACHAPELLE

J. BOULET et C-ie, Successeurs Ingénieurs-Constructeurs.

RUE BOINOD, 31—33 (Boulevard Ornano, 4—6 PARIS

ვინც ფოსტის მარკას გამოგზავნის, დაწვრილებითი პირობები გაეგზავნება. (6—1)

ქადაგეგანი

იმერეთის ეპისკოპოზის ბაბრიელისა, ორი ტომი, ისყიდება თბილისის ყველა წიგნის მაღაზიებში და აგრეთვე ქუთაისისაში. ფასი თვითო ტომისა მანათ-ნახევარი. თბილისის და ქუთაისის გარეშე მცხოვრებნი პირნი დაიბარებენ: ქადაგებათა ამ სახით: въ Тифлисъ, въ Кавказскую книжную торговлю Грикурова, ან въ Кутаисъ: въ канцелярію Епископа. (16—16)

Дозв. ценз. Тифлисъ, 23 Марта 1885 г. სტამბა არ. ძალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.